საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო გარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 2 1921 წ. შაბათი მარტის 26

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმარი სოლომონ გიორგის ძე ბერიოზაშვილი, მამა დავით დავიდოვი, დაი საშა, ძმა შაქრო ცოლით; მაზლის ცოლი ეკატერინე არტემის ასული ბერიოზაშვილისა შვილებით და სიძეებით, მული თამარ მიქაბერიძისა შვილებით და სიძით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ტფილისში მარტის 23-ს

ვარვარა დავითის ასული ბერიოზაშვილისა.

გამოსვენება მინიდან კვირას, მარტის 27-ს დილის 11 საათზე (სვეჩნოი შესახვევი, № 16) ჩუღურეთის გრიგორიანთ ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. 4

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ მიღება შეიძლება ცენტრალ ექსპედიციაში, რუსთაველის ბრ. № 11.

შაბათს მარტის 26-ს ხალ. 5 ს. ტრამვაის პარკის დარბაზში გაიმართება კრება

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთათვის

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს

პროფ. ფალავა ნუცუბიძე

თანამედროვე მომენტზე

დასწრება შეუძლია ყველა მუშა-მოსამსახურეს.

პრესის მაგიერ

ერთი უმწვავესი საკითხთაგანი ამ ჟამად—ეროვნული საკითხის გადაწყვეტაა. ჩვენს გაზეთში იქნება საგანგებო წერილები თანამედროვე პირობებში ეროვნული საკითხის მნიშვნელობისათვის საერთო რევოლიუციის ფონზე, მაგრამ კონკრეტიულად ეროვნული საკითხის გადაჭრა საქართველოში, რომ ერთი უმთავრესი საგანია—ამაში ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „კომუნისტი“-ს თანაზრომელს ამბ. კანს.

ჩვენი პარტიის ხანგრძლივი მუშაობა ამ დარგში ყველასათვის ცნობილია. მცირე ეროვნული ჯგუფების ინტერესების დაცვა, მისი უფლება-მოვალეობის აღიარება უეჭველად ელემენტარულია, მაგრამ გაზეთმა „კომუნისტმა“ ერთხელაც არ უნდა დაივიწყოს თავისივე დებულება, რომ მცირე ეროვნული ჯგუფების გაჩენა აქა-იქ ხდებოდა ხელოვნურად რეაქციონურ ჯგუფების ნაციონალურ და კლასობრივ ინტერესების სასარგებლოდ, ამავე დროს საერთო ეკონომიური პროცესების მიხედვითაც.

ეს ელემენტები დღეს აშკარა ზოოლოგიურ ნაციონალიზმის აღლოს იჩენენ ხშირად და არსებითად ხრუნავენ არა სამართლიან უფლებებზე, არამედ მათში აშკარადა ხჩანს ნაციონალურ პარტიკულიარიზმის იდეა.

საილუსტრაციოდ ჩვენ სწორედ კანის ფაქტს მოვიყვანთ ოსების შესახებ. ოსების საკითხში ჩვენ არასოდეს არ გვესმოდა მენშევიკური პოლიტიკა, მენშევიკებმა სრულიად ვერ შესძლეს სოციალიზმის ელემენტარული სტატუტების განხორციელება, მაგრამ დღეს, როდესაც საქართველოს განაგებს ეროვნულ საკითხის რადიკალურად გადამწყვეტნი განა დღესავე ოსების მეთაურებმა მენშევიკურ პოლიტიკას მენშევიკური პოლიტიკით არ უპასუხეს? რას ნიშნავს უდანაშაულო გლეხობის აწიოკება, დახოცვა და გაპარტახება ცხინვალ ჯავის ხეობაში? არის თუ არა ეს აშკარა კოსტრ-რევოლიუციონური გამოსვლა ოსების მხრივ?

მარტო ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობათ ჯერ კიდევ ყალბი წარმოდგენა აქვთ ეროვნულ უფლებაზე და მათში რეაქციონური რევანშის სული ბატონობს რევოლიუციის სულზე. თუ ამავე დროს მოიგონებთ ჯავის სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკს, პაწაწკინტელა სამთავროებისა თუ სახელმწიფოების შექმნას ერთიან საქართველოში—ცხადი იქნება თუ რა საშიშ ფორმას მიიღებს პარტიკულიარიზმის იდეა ჩვენში თუ ეხლავე არ იქმნა პრაქტიკული ზომები მიღებული იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარ პარტიკულიარიზმს საქართველოში გასავალი არ აქვს, რომ საქართველო წარმოადგენს ერთ მთლიან ეროვნულ, სუვერენულ სახელმწიფოს, რომ მხოლოდ ერთ მთლიან საქართველოს სახელმწიფოში, როგორც ასეთში, როგორც ასეთთან შეიძლება ვისმე ეროვნულ უმცირესობის უფლების დაცვა.

მცირე ერების უფლებები უნდა მიეცეს არა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციის პროცესს, არამედ კულტურულს, მცირე ეროვნული ჯგუფების პოლიტიკა უნდა განსაზღვროს პერსონალურ პოლიტიკის პრინციპით რაც მხოლოდ შეინახავს საქართველოს, როგორც მთლიან არსებას და მიანიჭებს მცირე ერებს კულტურულ ცხოვრების გარანტიებს.

მებრძოლი.

მოსკოვის კონფერენცია და საქართველო

ოსმალეთის დიპლომატიას ოთხას სამოცდა რვა წლის განმავლობაში, რაც ოსმალნი გაბატონებულან კონსტანტინოპოლში, ისეთი ვამჭრობა არასოდეს გამოუჩენია, როგორც მსოფლიო ომის შემდეგ. ოსმალეთი გერმანიის კოალიციაში შედიოდა. გერმანია დამარცხდა და განიცადა ყოველი დამცირება რაც კი ოდესმე ისტორიას ურგუნებია დამარცხებული ხალხისთვის, მაგრამ ოსმალეთმა თავი დაიძვრინა. ჯერ კონსტანტინოპოლის მთავრობას, რომელიც ანტანტის ყურმოჭრილ ყმად გადაექცია სევრის ხელშეკრულებას, გაეცო მილისტების (ნაციონალისტების) ჯგუფი ქემალფაშის მოთავეობით და შეჰქმნა ანგორაში მოწინააღმდეგე მთავრობა დიდ ეროვნულ კრებად წოდებული, რომელმაც თავისი ხელმწიფება გაავრცელა მრთელ ანატოლიაზე და მიზნად დაისახა ოსმალეთის ძრა თუ ომამდე სტატუქვოს დაცვა, არამედ ტერიტორიის გაფართოებაც. მილისტებმა კავშირი შეჰკრეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან, რომელიც იბრძვის ანტანტის იმპერიალიზმის წინააღმეგ და ისე მოახერხეს საქმე, რომ ლონდონის კონფერენციამ, რომელსაც ხელახლა უნდა განეხილა სევრის ხელშეკრულობა, ქემალფაშის წარმომადგენელიც მიიწვია.

მოსკოვთან კიდევ საკუთრად ქემალისტებს ცალკე მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული მაგრამ განსახილველი საგნები ლონდონის და მოსკოვის კონფერენციებისა ერთი და იგივე როდი ყოფილა. მაშინ როცა ლონდონის კონფერენციას განსახილველად ჰქონდა მაგალითად ევროპის ოსმალეთის სამზღვრები მოსკოვის კონფერენციას, როგორც ცხადჰყოფს მოსკოვიდან მოსული ტელეგრამა, განუხილავს აზრიის ოსმალეთის სამზღვრები.

გაზეთებში იყო ცნობა, ოსმალეთის დელეგაციამ ლონდონის კონფერენციაზე სრული ჭმაყოფილება მიიღო. მოსკოვის კონფერენციაზე კი ოსმალეთი ძლევა მოსილი გამოვიდა. ანტანტის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი თვით გადაიქცა იმპერიალისტად და კინადამ მთლიანად დიდგინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა, რომელიც, როგორც გამარჯვებული გერმანიის მოკავშირეს, ეძლეოდა ბათომ-არტაან-ყარსას ოლქები. დღეს კი მოსკოვის კონფერენციის დასტურით ბათომის ოლქს ჩამოეჭრა ართვინის მაზრა, რომელიც არტაან-ოლთი-ყარსის ოლქებითურთ გადავიდა ოსმალეთის ხელში და მასვე მიეცა უფლება ბათომის პორტით სარგებლობისა, თავისუფალი ტრანზიტისთვის.

ორთავ კონფერენციაზე გამარჯვება ოსმალეთს ბევრ რასმე ავალებს, როგორც ანტანტის, ისევე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე. ერთი რამ კი ეჭვ გარეშეა: მოსკოვის კონფერენციას გულუხვობას ოსმალეთი დაუფასებს და თუ პირდაპირ ხელს არ შეუწყობს, ალბად არც შეუშლის, რათა აზიაში ფეხი მოიკიდოს საბჭოთა სისტემამ. ჩვენ მოხარულნი ვიქმნებით, თუ გაუმართლდათ იმედი მოსკოველ დიპლომატებს, რომელთაც ოსმალეთი გაუბედნიერებიათ საქართველოსა და სომხეთის მშრომელი მასის ხარჯით. ე. ი. საქართველოსაგან ართვინ-არტაან-ოლთი, ხოლო სომხეთისაგან ყარსის ოლქი ჩამოუთლიათ. ისპირ-თორთუმ-ლაზისტანი კი სალაპარაკოც არ გაჩხდარა, ალბად ოსმალეთის როგორც „ულელერი ნაწილები“. ამას გარდა სომხეთის ნაწილს-ნახიჩევნის მაზრას მიენიჭა ავტონომია და გადავიდა ადერბეიჯანის საფარველ ქვეშ, ხოლო ზაქათალის ოლქი აზერბეიჯანის და ბორჩალოს მაზრის ერთი ნაწილი ე. წ. ნეიტრალური ზონა სომხეთის ხელთ არის დღესაც, თუმც ცარიზმის დროსაც საქართველოს ეკუთვნოდა და 1920 წ. მაისის 7 დღის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულობითაც საქართველოს სამზღვრებში უნდა იყვეს.

ხსენებულ ოლქებში, რომელიც დღეს დაპატრონებია ოსმალეთი, მკითხველი ყურადღება უნდა მივაქცინ უფრო მეტად დაღისტან-ართვინ-ზაქათალა-ბორჩალოს მაზრებში.

რა თქმა უნდა, იმ მოტივებში, რომელთა ძალითაც ჩვენი საბჭოთა მთავრობა ცდილა აჭარა-ქობულეთის ბათომითურთ ავტონომიურად მოქცევას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში, ეთნოგრაფიული შედგენილობაც არ იქნებოდა უკანასკნელი სწორედ ასეთი მოტივაციით ლაზისტანი (იგი ჭანეთი), როგორც ქართველთ კომპაქტი მოსახლეობის ქვეყანა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებში უნდა შემოვიდეს. ამხანაგმა მიხა ცხაკაიამ თავი უნდა გამოიდვალ დაშორებული ძმების მეგრელ-ლაზების შესაერთებლად.

ართვინი მასაზრდოებელია აჭარა-ქობულეთისა. მისი ბუნების სიმდიდრე საოცარია. მისი სპილენძის მადნებს საქართველოს მშრომელი მასისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბაქოს ნავთს ნავთს ადერბეიჯანისთვის. ზაქათალა კიდევ კახეთის, ხოლო ბორჩალო, რომლის ნეიტრალ ზონას სომხეთი გვეცილება, ქართლის ბეღელია და იმავე დროს მდიდარი ალავერდის სპილენძის მადნებით განთქმული. ამას გარდა ოთხივე მაზრა უადრესად სტრატეგიული პუნქტებია და ვიდრე კაცი მგელია კაცისათვის, ყოველთვის საფრთხეს მოუტანენ საქართველოს პროლეტარიატს. ასე ყოფილა ისტორიულად და ასე იქნება შემდეგშიაც.

პროლეტარიატის დიქტატურისთვის განსახორციელებლად კომუნიზმისა, რომლითაც უნდა ითქვას უკანასკნელი სიტყვა სოციალიზმისა, საჭიროა, რომ მუშა-გლეხობა მართლა გაგებული იყვეს თავისი ბედისა, თვით იპყრას ხელთა ალა უფლება. როგორ უნდა დადგეს ასეთი სანეტარო დრო, თუ საქართველოს პროლეტარიატი სხვა ქვეყნის ხელში შემყურე იქნება, თუ მის ჯერზე დგომას პირველ საჭირო საგნების სასყიდლად ბოლო არ მოეღება და თუ უცხო ქვეყნების ხელთ იქნება მისი სასიცოცხლო ტერიტორია, რომელიც მის ფიზიკურ არსებობას დაიკავს და მისი ეკონომიური კეთილდღეობის წყაროდ გადაიქცევა.

ქემალისტების ერთი აზრი ამოვიკითხე გაზეთში, საქართველოსთან მეგობრულად ვიცხოვრებთ, თუ აგრესიულ პოლიტიკას თავს გაანებებთ. ვინ აწარმოებს აგრესიულ პოლიტიკას, ვინ იმპერიალისტობს. ოსმალეთი, თუ საქართველო? პასუხი მკითხველმა ბრძანოს.

ა. ბ.

უნდა გაიგოთ

საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ახალ საფეხურზე შესდგა.

საბჭოთა მთავრობამ შესცვალა დემოკრატიული. ეს მოვლენა ნორმალურ საზოგადოებაში არ გამოიწვევს მაინც ტ მაინც ისეთ ემოციებს, როგორსაც ამჟღავნებენ საქართველოს მოსახლეთა ზოგიერთი წრეები. ბევრ ეცხოელს, ეორდანიას მთავრობის წასვლა საქართველოს სიკვდილად ეჩვენება და კომუნისტები კი, ჩვენი კულტურის მესაფლავეებად წარმოუდგენიათ. ამის საუკეთესო ილუსტრაცია ქალ. ტფილისის მასწავლებელთა კრება იყო, ხუთშაბათს, მარტის 24, ქართული დრამის სახელმწიფო თეატრში.

მე არ მაინტერესებს იქ წამოყენებულ კითხვათა არსებითი მხარე. ეს ერთგვარი აკადემიური სფეროა, სადაც აზრთა სიმრავლე წარმოსადგენიც არის ტ მისაღებიც. მე მაინტერესებს იმ კრების თუ შეიძლება ასე ითქვას გარეგნობა და ის დაყოფა, რომელიც უსათუოდ ბევრი რამის მეტყველია. პროფესიულმა კრებამ ეროვნული მიმართულება მიიღო. ცალ მხარეს იყვნენ ქართველები, მეორე მხარეს არა ქართველები. და ეს არა ქართველები თავიანთ გამოსვლებს ანარქიზმის სახელით ამართლებდნენ. და ქართველების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ვითომდა როგორც კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ, რომელნიც იჭიდებიან მოძველებულ ფალასპრინციპებს. და ერთ ასეთ პრინციპად ასახელებდნენ ეროვნულს.

საცოდავებმა, ასე გაიგეს კომუნიზმი? და იმიტომ ისტორიულად მოითხოვდნენ ქართულ საუბრის შეწყვეტას? არა ბ—ბო! თქვენ ჩვენი ძველი ნაცნობები ბრძანდებით. ძველ „სტატსკი ჩინოვნიკებს“ და „კოლეგ'სკი სოვეტნიკებს“ საკმაოდ კარგად გიცნობთ. ისიც ვიცით, რომ კომუნიზმის ლანდი ყოველთვის გაშინებდათ და საქართველოდან წყევა-კრულვას უგზავნიდით რუსეთის თავდადებულ კომუნარებს. თქვენ გაძრწოლებდათ შენშევიკების ზომიერი რეფორმებიც კი და დღეს ასეთ ნახტომით სცდილობთ რადაც იმედების განხორციელებას. სცდებით! კომუნიზმის მადალ დროშას ვერასოდეს ვერ შეაფარებთ თქვენს მართლა დრო-მოკუმულ ზრახვებს.

ყველი რეჟიმის მშიშარა ადიუტანტებს, კომუნისტური საქართველო არ მოგცემთ საზრდოს. წითელი ლაშქრის საქართველოში შემოსვლა თქვენს წინააღმდეგ არის წარმართული და არა საქართველოს სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ. ძველად ჩვენგან გათიშულნი, დღეს კი გათიშვის პოლიტიკას აწარმოებთ, და ამ პოლიტიკანობას ინტერნაციონალის წმიდა სახელით ბეჭავთ. ფრთხილად.

საქართველო ყოველთვის იყო რევოლიუციის წმიდა აკვანი. კომუნიზმის დროშა ს ქართველოში ბევრ თავდადებულ რევოლიუციონერს ეჭირა და კვლავ ეჭირება, ხოლო ბრძოლის მიზნებ შორის კვლავ დაჩენა საქართველო. ეროვნულ კულტურის დიდ საქმეს კვლავ ენერგიულად და უშიშრად ვაწარმოებთ. დაიცხრეთ ვნება. ირწმუნეთ ახალი ქვეყანა. დასტოვეთ ძველი ჯაბეჩი. დამხმარე ხელი გაუწოდეთ საქართველოს მშრომელ ხალხს, ჩადექით ინტელიგენტურ პროლეტარიატის ხშირ მწკრივებში და მოგვყეთ დიდი საქმის განსახორციელებლად. და თუ ეს არ შეგიძლიანთ, განზე გადექით. საბჭოთა რეჟიმისგან ამაოდ ელით ძველ, მეფურ რუსეთის ტრადიციების აღდგენას. საბჭოთა მთავრობამ უკვე საკმაოდ დაგანახვათ; თუ რა გზით მიემართება მისი პოლიტიკური კურსი. კომუნისტურ სახელმწიფოთა ოჯახში, საქართველოს ეროვნული დროშაც იფრიალებს, ეს ჩვენ გვჯერა. ეს ჩვენ ვიცით.

თქვენც უნდა გაიგოთ და დაიჯეროთ.

ირწმუნოთ ისევე, როგორც სწამს ბევრ ნამდვილ კომუნისტს, ეროვნების განურჩევლად, რომელნიც ჩვენ ეროვნულ კულტურას ისეთივე მზრუველობით ეკიდებიან, როგორც თავისას.

და მათთან ერთად თქვენც გულწრფელად დაიჭიოთ: **გაუმარჯოს დამოუკიდებელ კომუნისტურ საქართველოს!**

ვ. კ.

ამონაწერი

საქართველოს ს. ს. რ. რევკომის 1921 წ. მარტის 21-ს სხდომის ოქმისა № 15.

მოიხსენეს.

მოხსენება რევკომის რწმუნებულის ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების წარმოების შესახებ.

ამბ. ორახელაშვილი.

დაადგინეს.

მოისმინა რა მოხსენება რევკომის რწმუნებულისა, რომლისაც ვისაც მინდობილი იყო ყოფილ მენშევიკურ მთავ-

რეტბასთან მიღებულ ბრძანების წარმოება და მიიღო რა ცნობა ნ. ჯორდანიას მთავრობის მათ-მიდან გაქცევის შესახებ,— რაც ნიშნავს რწმუნებულების მიერ ხელმოწერილ შეთანხმების აშკარად დარღვევას, ამასთანავე გიგო რა, რომ გაქცეულმა მთავრობამ გიტაცა ადარებელი სახელმწიფო ქონება და ლირებულებანი, საეკლესიო და მონასტრის განძეულობა და აგრედვე მშრომელთა ფართო მასსისათვის აუცილებელ პირველ საჭიროების საგნები, მედიკამენტები და სხვა, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ჰაცხადებს მთელს ქვეყნის მშრომელთა მასსის წინაშე, ქვეყნის გამძარცველებს და ადგენს:

1. შეთანხმება მისი დარღვევის გამო საქართველოს ყოფილ მთავრობის მიერ, ცნობილ იქნეს გაუქმებულად.

2. ფართო ამნისტია გამოცხადებული 25 თებერვლის დეკრეტში და განმეორებულ ადნიშნულ შეთანხმების ხელშეკრულობაში დარჩეს ძალაში.

ყველა ისინი, ვინც ცდასტოვა საქართველო გაქცეულ მთავრობასთან ერთად, რომელმაც გიტაცა ხალხის სიმდიდრე, ჩაითვალოს მშრომელ ხალხის მოღალატეებად და გამოცხადდნენ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კანონების მფარველობის გარეშე, ხოლო მათი ქონება ჩამორთმეულ იქნეს მუშათა და გლეხთა ხალხის სასარგებლოთ.

ახალი ამბები

— სოციალური უზრუნველყოფა. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ საინსტრუქტორო განყოფილებას დაავალა სასწრაფოდ მოაწყოს, საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისია, რომელმაც უნდა გამოიმუშავოს პროექტი სოციალურ უზრუნველყოფის კანონისა წითელ არმიელთა და ინვალიდთა ოჯახების, აგრედვე ფეხმძიმე ქალების და კონტრრევოლიუციის მსხვერპლთა შესახებ. ამჰ, უმასთანავეგოვის მოხსენების თანახმად, კოლეგიამ დაადგინა მიიღოს თავის უწყებაში ყოფილ შინაგან საქმეთა სამინისტროს თავშესაფარი, საქალაქო დარიბთა სახლი და სოციალურ დახმარების ცენტრალური საზოგადოების ინვალიდთა სახლი.

— მინდვრების დათესვა. მინდვრების დათესვა დეკრეტის გასაფართოებლად. ძიწად ხოქმედების სახალხო კომისარიატთან დაარსებულია ცენტრალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მინდვრების დათესვის საქმის ორგანიზაცია. ეს კომისია თავის მხრივ აწყობს კიდევ სამაზრო კომისიებს. სამაზრო კომისიების დახმარებით, ცენტრალური კომისია შეჰკრებს საჭირო ცნობებს დაუთესავ მიწების, ანეულის თესლის მარაგის და თავისუფალ სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესახებ. ცენტრალურ კომისიას ეძლევა უფლება სამაზრო კომისიის მოქმედების კონტროლისა, რისთვისაც მას შეუძლია გამოიყენოს მთელი თავისუფალი პირადი პერსონალი მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისა, როგორც მაგალითად: აგრონომები, მიწის მზომლები, აგრარულ რაიონების კომისიის მდივნები და სხვა პირნი.

სამაზრო კომისიებმ მოწყობილ უნდა იქმნას ძლიერ საჭიროდ ცენტრალურ კომისიის მიერ გაგზავნილ პირების, რომელნიც შედიან ეროობათა აგრონომიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენელობაში, ადგილობრივ რევკომის და ცენტრალურ კომისიის აგენტების დახმარებით. სამაზრო კომისიებმა, რომელნიც მუშაობის დროს ემყარებიან ადგილობრივ რევკომს და კომუნისტურ პარტიების დახმარებას, უნდა შემოკრიბონ თავის გარშემო საკმაოდ მთელი არსებული აგრონომიული პერსონალი და, თუ საჭიროება მოითხოვს სხვა თანამშრომლებიც. სამაზრო კომისიების პირველი მიზანია მოსახლეობის ვრცელი ფენა დაუყოვნებლივ გააცნოს მინდვრების დათესვის დეკრეტი, გამოიკვლიოს ცარიელ მიწების და საჭირო თესლეულობის რაოდენობა. არ უნდა დათესოს ის მიწები, რომელნიც ადგილობრივ პირობების გამო დაუთესავი რჩებიან, როგორც სათიბები, საძოვრები და სხვა. თავისუფლათ დარჩენილი მიწები გაანაწილებულ უნდა იქმნეს ფულისთვის 1 წ. ვადით იმ მიწის დამუშავებელთა შორის, რომელთაც ექნებათ საშუალება ამ მიწების დამუშავებისა. ხელ მოკლე მიწის დამმუშავებელებს, კომისია აძლევს თესლეულობას ნისიათ, აგრეთვე საჭირო მანქანებს და იარაღებს. ზედმეტ თესლეულობის გადამლვის შემთხვევაში, სამაზრო კომისიები ღებულობენ სათანადო ზომებს და დამნაშავენი ცენტრალურ კომისიის საშუალებით მიეცემულ იქნებიან სამართალში რევოლიუციონურ კანონების მთელი სისასტიკით.

— ხალხელმწიფო სახელოვნებელში ქალაქის სახელოსნო სასწავლებელმა მიმართა სასურ. კომისარიატს შუამდგომლობით. რათა განახლდეს სასწავლებლის სასადილო, რადგან მოსწავლენი არიან დარიბ მშობლების შვილები და მეცადინეობის დროს ფიზიკური შრომის გამო მათთვის საჭირო კვების გაუმჯობესობა.

— საქართველოს ხელოვანთა კავშირი. კვირას, 27-ს მე 2 საათონო აუდიტორიაში (ჰლეხანოვის პროსპექტი, № 129, ყოფილი მეორე ქართული ქალები) მართავს მუსიკალურ-ლიტერატურ საღამოს. ილია ნაკაშიძე წარმოსთქვამს მოხსენებას სახალხო აუდიტორის მნიშვნელობას, მგოსანი ჰაოლოიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას „რევოლიუცია და ხელოვნება“. მუსიკალურ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ საოპერო თეატრის მსახიობნი. დასასრულ მგოსანი ი. გრიშაშვილი წარმოსთქვამს ლექსებს. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. ს. შესვლა საღამოზე უფასოა.

— ჯარის ნაწილების მახასიათებელი. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარის მოადგილემ კვანტალიანმა ბრძანება გამოსცა, რომ რადგანაც ჯარის ზოგიერთი ნაწილები და დაწესებულებანი თავის ნებით იკავებენ სახელმწიფო ბინებს. ამიტომ ბინები უნდა გაანაწილოს მთავარმა საინჟინერო მმართველობამ გარნიზონის უფროსთან ერთად.

— ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატში. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილემ მიმართა ყოფილ უფროსს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროს მგალაძეს. რომელიც ამ ჟამად ბათუმში იმყოფება. მოაწესრიგოს მთელი ქონება ფოსტა-ტელეგრაფისა გატანილი ტფილისიდან და საჩქაროთ დაბრუნოს ტფილისში.

23 მარტს ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის 200 მოსამსახურე. რომელნიც ტფილისიდან გაიქცნენ უკან დახეულ საქართველოს ლაშქართან ერთად. ამ მოსამსახურეებმა მიმართეს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარს შუამდგომლობით. რათა მიიღონ ისინი სამსახურში ხელახლად.

— სახალხო პიესები. რედაქციას მოუვიდა „სახალხო პიესები“. წიგნაკში მოთავსებულია ორი პიესა: „თოვლის კაცი“ თარგ. ელ. ანტონოვისაა და „ბავშვები“ ელ. ელიავასი. გამოცემულია ქალთა საზოგადოება, „ლაშპარისა“ დაბეჭდილია სუფთად და ღირს 200 მ.

— კრება. შაბათს, მარტის 26-ს, საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის სადგომში მოწვეულია პროფკავშირის საბჭოს პლენუმის სხდომა.

— განცხადება. დაიკარგა პასპორტი № 5952 გაცემული ისპანიის საკონსულოს მიერ ალექსანდრე პეტროსის ძე მიკრტჩიანსადმი, აგრედვე დაკარგულია ორი საწყვრო წიგნაკი პროფკავშირისა „სურსათი № 231“ და 3 მოწმობა 285/884 ვინტოვკის ტარების ნებართვისა № 146574, გაცემული აგრედვე მიკრტჩიანის სახელზე.

— ხალხელმწიფო დრამის თეატრში. ქართულ დრამებზე დამსწრეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. უმეტეს ნაწილად ესწრებიან ისტორიულ პიესებს, განსაკუთრებით „სამშობლოს“. მოკლე ხანში მხატვარ ერისთავის ახალი დეკორაციებით დაიდგმება სუმბათაშვილის „დალატი“. პიესაში მონაწილეობას ღებულობს ქართულ თეატრის მთელი დასი.

რადიო.

ბალტიისპირეთი ზემო-სილეზიაში.

ლონდონი, მარტის 23. ზემო სილეზიაში მთელი ნახშირის მასსანი, როგორც ეტუობა, პოლონეთს რჩება. ზემო სილეზიის პლებისციტის შესახებ მოსულ დაწვრილებითი ცნობებიდან, გამოირკვა, რომ გერმანიის გამარჯვება არც ისე დიდია, როგორც ეგონათ. გერმანელებმა მიიღეს ხმის უმრავლესობა არა ყველგან. გასაკვირი არ არის, რომ მათ ხმის უმრავლესობა მიიღეს დასავლეთ მდებარე ოლქებში და ქალაქებში. სხვა ადგილებში ხმის უმრავლესობა მიიღო პოლონეთმა. ზემო სილეზიის 16 ოლქიდან გერმანელებმა მიიღეს ხმის უმრავლესობა 7 ოლქში, 9 ოლქში კი უმრავლესობა მიიღეს პოლონელებმა. უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის ბლესი, რიბნიკი, ზოსტრელიცი, გდუვიცი, ტარნოვიცი, ტეიტენი, კატტოვიცი და კენის-ხიუცი, რომლებიც შეიცავენ მთელ ნახშირიან რაიონს და კიდევაც შორდებიან მის საზღვრებს. ამნაირათ შესაძლებელია გადაწყვეტილება—გაიყოს ზემო სილეზია პლებისციტის შედეგის მიხედვით. ეჭვს გარეშეა, რომ ეს დადგენილება მიღებული იქნება მოკავშირეთა უმაღლეს კომისიის მიერ, რადგან ის (დადგენილება) ნაკარნახევია ევროპის და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების მიერ, რომლებიც დიდი ხანია ელოდებოდნენ თავის ბედის გადაწყვეტას. საკურვლია, რომ უმაღლესმა კომისიამ საჩქაროთ გამოსთქვას თავისი წინასწარი მოსაზრებანი.

ანაზღაურების კომისია.

ლონდონი. 23 3 ანაზღაურების კომისია ნაყოფიერათ მუშაობს, რათა გამოარკვიოს გერმანიის ვალის რაოდენობა. გუშინ პირველათ მოუსმინეს გერმანიის წარმომადგენლებს. კომისიამ თხოვა მათ ჩამოაყალიბონ შენიშნები, რომელიც ეხება ვალის საერთო რაოდენობას, რომელიც ნაანგარიშევია ყველა მოკავშირეთათვის 90 მილიარდ. ოქროთ.

ამერიკა და გერმანია.

ნიუიორკი, 23 3. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ხელერმა განაცხადა, რომ იგი მზად არის გაბმნას კრედიტი გერმანიასთან საგარეო ვაჭრობის აღსადგენაო. რის გამო შესაჩნევად დამოკიდებულია მსოფლიო მეურნეობა.

რევოლიუცია ირლანდიაში.

ნიუიორკი. 24-3. ბრიტანეთის პოლკს, რომელიც მანევრებს აკეთებდა კერკის რაიონში, უცბათ თავს დაესხა 600 სინფეინიერი. ბრძოლის დროს ინგლისელებს მოუკლეს 16 და 24 დაეჭრეს, სინფეინიერებს 12 მოუკლეს და 7 დაეჭრეს.

რუსეთ-ამერიკის ხელშეკრულობა.

ნიუიორკი, 24-3: ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება იმის დამამტკიცებელია, რომ ამჟამად საბჭოთა მთავრობას ხელისუფლება ხელთ უპყრია. ინგლისის კომერსანტები და მრეწველები საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კარდიფში ფართო სავაჭრო დამოკიდებულებათა შესახებ.

მილოცვა მუსტაფა ქემალს.

ლონდონი, 24 3 ეკონომიდან იტყობინებიან, რომ ემირ საიდმა ბბდელ-კადერის შვილიშვილმა, საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმების გამო მიულოცა მუსტაფა ქემალს და აღნიშნა, რომ ეს გამარჯვება მიღწეულია ანგორის ბრძოლა ბოლიტიკით, ოსმალეთის გაგრძელების წინადადებასაც იძლევა.

მუშათა კანონმდებლობის წარმოება.

ლონდონი, 23 3 შრომის მინისტრმა დეპუტატთა პალატაში წარადგინა კანონ-პროექტი, რომელსაც მიზნად ჰქონდა... (დამახინჯებულია) უმედურებათაგან, რომელთა გამო მუშები პასუხს ვერ აგებენ, როგორც: ავადმყოფობა, ინვალიდობა, სიბერე და აგრედვე მუშები უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ საექიმო დახმარებით; დროებითი და გრძელ ვადიანი სესხით ინვალიდობის შემთხვევის დროს (დამახინჯებულია პროექტს გათვალისწინებული აქვს დამზღვევ კასის დაარსება, მეპატრონეთა და მუშათა მიერ ფულის შეტანით.

თავდაცვა ბავარიაში.

ნიუიორკი. 24-3 ბავარიის კაბინეტი მზარს უჭერს პრემიერის ფონ-კარს განცხადებას, რომელიც უერს ამბობს თავდაცვის ორგანიზაციის განიარაღებაზე, მიუთითებს რა იმაზე, რომ ამ საკითხში მოკავშირე მისიათა თავისუფალი მოქმედება არ უნდა იქნეს დაშავებული.

რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში.

ნიუიორკი. 24—3. (დასაწყისი არ მიღებულა) სადაც რკინის გზის სადგურთან იყო გათხრილი სანგრები. მანსფელდში შეიარაღებულმა ხალხმა მოახდინა სადგურზე მოულოდნელი თავთავხმა, რომლებმაც გასაკვირვეს სალარო და დასტოვეს შიგ ყალბი ბარათი, ვითომდა ცნობილ კომუნისტის გეჩის ხელმოწერით. პოლიცია სთავაზობს თავის მფარველობას მადნებზე მომუშავეთ, რომლებიც მზათ არიან მუშაობის დისაწყებათ. ფიქრობენ. მატარებელთა დაჯახება გაღესა და ლეიპციგის შუა დაკავშირებულია გაფიცულებთა აჯანყებასთან. იტყობინებიან აგრედვე სამხრეთ ნაწილში მომხდარ აჯანყებაზე. (დამახინჯებულია) რომელსაც გეზი ემუქრებოდა ტერორით რამოდენიმე თვის უკან. ქალაქის გამგეობის შენობა როფეგიერში აფეთქეს გუშინ ღამით. დღეს გადაადგილეს კიდევ 3 ხელის ყუმბარა: აუერბაზში მომრიგებელ სასამართლოს შენობაში, ლეპციგში სასამართლოს შენობაში და დრეზდენში საოლქო სასამართლოს შენობაში. (დამახინჯებულია). პროვინციის უფროსი. (დამახინჯებულია). მშრომელთა კლასის წარმომადგენელს განუცხადა დამოუკიდებელ ნაციონალისტებთან ერთად, რომ პრუსიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა. (დამახინჯებულია). აუტანელი პირობები ცხოვრებისა, რომელიც ახლა არის შუმ გერმანიაში) ზომები, რომლებსაც ღებულობს გერმანიის მთავრობა, მიმართულია არა რომელიმე პარტიის წინააღმდეგ, არამედ ყველა იმ ელემენტებისა, რომლებიც არღვევენ კანონებს. კომუნისტური „როტე-ფანე“, გამბურგიდან მოსულ ცნობილ თანახმად, იუწყება, რომ იქ დღეს დილით ბლომენფოს გემის საალმაშენებლოს მუშებს წარუდგენეს ულტიმატუმი: თუ მუშები საათის განმავლობაში არ აღადგენენ წესრიგს, იმ შემთხვევაში გემის საალმაშენებლოში შესწყვეტდენ მუშაობას. ამის საპასუხოთ მუშებმა დაიჭირეს დირექტორის კანტორა და აღმართეს წითელი დროშა. სასწრაფოთ ამის შემდეგ გემის შემკეთებელ სახელოსნოს „ვულკანის“ მუშებმა შეადგინეს სარევოლიუციო კომიტეტი „როტე ფანე-მოუწოდებს მუშებს ერთად სამოქმედოთ იმ მუშებთან. რომლებზედაც პირველად მოხდება თავდასხმა. რომ ამით ხელი შეუშალოს ჯარის და იარაღის გაგზავნას შუა გერმანიასა და გამბურგში და დაიწყოს კონტრ-შეტევა მთელ ფრონტზე.

მეფე კონსტანტინე იარაღს აყალარუნებს.

ნიუიორკი. 24—3. ხმებია ვითომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინე აპირებდეს მცირე აზიაში მთავარ სარდლობის მიღებას.

ტრაპეზუნტი, მარტის 20. მოსკოვში ჩაჩერინს. ტფილისში ეოლიავს.

მარტის 19-ს ტრაპეზუნტში მოვიდა ბათუმიდან გემი „ფერენჩ ბუზეფ მირილი“. გემზედ იმყოფება იტალიის ელჩი საქართველოში იტალიის მისიის შემადგენლობით. ამავე გემზედ იტალიის ელჩის მფარველობით მიდიოდენ მენშევიკური საქართველოს ბელადები, ფორდანია, ჯუღელი, ჯენერალი კვინიტაძე, ბევრი წევრი დამფუძნ. კრებისა და სხვა წარჩინებული პირები. მარტის 19, საღამოს გემი წავიდა კონსტანტინოპოლში.

საუბარი ჯუღელთან.

თურქულ გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს ჯუღელმა საქართველოს დამარცხების მიზეზად დასახელა: 1) ფრონტების სიმრავლე, 2) საქართველოს არმიის მცირე რიცხოვნობა, რომელიც ვითომაც ძლივს აღწევდა 20,000 კაცამდე, 3) იარაღსა და ამუნიციის სიმცირე, 4) ფოილოს ხიდის ნაწილობრივ აფეთქება, რომელიც ძლიერ მალე შეაკეთეს ბალშევიკებმა, 5) გაცრუება ოსმალთა დახმარების იმედისა, 6) საბოტაჟი რუს ოფიცერთა, რომელნიც საქართველოს არმიაში მსახურებდნენ ჯუღელმა გამოსთქვა მენშევიკების განზრახვა მიმართონ ანტანტას დახმარებისათვის. გამოსთქვა იმედი, რომ ახლო მომავალში ისევ დაიწყება შეტევა ბათუმიდან თბილისის წინააღმდეგ. ჯუღელის სიტყვით საქართველოდან ვერ მოახერხეს გაეტანათ მეთაესეთიც კი იმისა, რაც საჭირო იყო. არმია ავსებით დარჩაო.

ზღვაზედ.

უკანასკნელ დღეების განმავლობაში ჰორიზონტზედ მოსჩანან მრავალი გემები ბათუმიდან კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი.

ცხრამეტს მზის ჩასვლისას მოსჩანდა ათ გემამდე. ტრაპეზუნტში რეიდში სდგას ბათუმიდან მოსული მრავალი მოტორიანი გემები.

რუსეთის საინფორმაციო ბიუროს გამგე ახატაროვი.

დაყოვნება შეუძლებელია

ჩვენს წინ გადაიშალა ახალი ხანა, რასაც შორეულ მიზნად ვისახავდით; დადგა დრო სოციალიზმის განხორციელების, ცხოვრებაში გატარების, ოცნება სინამდვილედ უნდა ვაქციოთ!

თითოეული [illegible] დიადი შენობის ასაგებად თითო აგური მიაწოდოს [illegible].

მე მინდა ამ სტრიქონებით მოვუწოდო ქართველ ქალებს, ქართველ დედებს, განსაკუთრებით პროლეტართა ოჯახებიდან:—შეეკრიბნეთ და ვითათბირეთ მასზე, თუ როგორია პროექტი სოციალისტურ წყობილებისა,—„ბავშვთა და დედათა სახლის“ შესახებ,—გავეცნოთ მას...

დღეს პროლეტარის კერძო ოჯახში ბავშვი სიმშილისა და მოუვლელობის მსხვერპლი ხდება: მამა სამუშაოზეა, დედა მთელი დღე პურის ჯერში დგას...

გონიერება ვვიკარნახებს — დაუყოვნებლივ შეუფარდოთ ჩვენი ბავშვების ცხოვრება მდგომარე მომენტს..

მივუგზანოთ რწმუნებულები საბჭოთა მთავრობას წინადადებით, რომ თუ მთავრობა გასცემს განკარგულებას ბავშვთა სახლის გასახნელად, ახლო მომავალში,—ჩვენ, ქართველი სოციალისტი ქალები, სიამოვნებით გავწევთ შრომას ამ იდეალური საქმის განსახორციელებლად.

ამორძალი.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ბასია.

მიმართვა ცენტრ. აღმ. კომიტეტისა.

მოსკოვი. 23—3 (რადიო). ნატურალური გადახახადი. (დასაწყისი მიღებული არ არის). ზედმეტი მის განკარგულებაშია; მას აქვს უფლება გაცვალოს ის პროდუქტებზე და ინვენტარზე, რომელსაც მიაწოდებს სახელმწიფის საზღვარ გარეთიდან და თავის ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან: მას შეუძლია გაცვალოს ის მისთვის საჭირო პროდუქტებზე კოოპერატივებში და ადგილობრივ ბაზარზე. ამასთანავე საბჭოთა ხელისუფლება ვალდებულათ სთვლის თავს, აუცილებელი პროდუქტები მიაწოდოს სოფლის ულარიბეს მცხოვრებთ. რომელთაც არაფერი ექნებათ გასაცვლელი.

გადახახადი დროებითი ზომაა. დაბეგრის (რაზვიორსტკის) მაგიერ გადახახადის შემოღება დიდ შეღავათს მისცემს გლეხებს და ამასთანავე განამტკიცებს მუშათა და გლეხებს კავშირს. რომელზედაც დაყრდნობილია რევოლიუციის ყველა მონაპოვარი. მაგრამ გლეხობას უნდა ახსოვდეს. რომ ეს ზომა დროებითია. მხოლოდ სიღარიბე და საზღვარ გარეთ ვაჭრობის მოაწყობლობა აიძულებს საბჭოთა მთავრობას წაიღოს გლეხის მეურნეობის ნაყოფის ხაწილი გადასახადის სახით, ე. ი. დაუბრუნებლათ. იმის და მიხედვით თუ როგორ მოეწყობა ჩვენი მრეწველობა. რომელზედაც დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ბედი. და იმის მიხედვით, თუ რამდენათ გადიდდება საზღვარ გარეთიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობა ჩვენს ნედლ მასალაზე გასაცვლელად, ხალხის გადასახადი იკლებს. სოციალისტურ მეურნეობის მომავალ აღმშენებლობაში ჩვენ მივადწევთ ისეთ წარმატებას, როდესაც გლეხის ერთ ფუთ პურში საბჭოთა სახელმწიფო მისცემს ისეთივე ფასიანს და სოფლისთვის საჭირო პროდუქტებს.

რედაქტორი თედო ლლონტი.
გამოცემა დრ. მთავარი კომიტეტისა.

დაკარგე ტფილისში მცხოვრებმა მე-10 უბანში გოგოლევის ქუჩა № 64 ნადიქდა ლევანის ასული ნაცვლიშვილისამ: საფულე რომელშიაც მქონდა; მანდატი, რკინის გზის მოწმობა-ბილეთი, კახ. რკ. პურის წიგნაკი. ყველაზე მოხსენებული მოწმობები იყო ნიკოლოზ ნაცვლიშვილის სახელზე. გთხოვთ გაუქმებულად ჩასთვალოთ.

დაკარგე

კოოპერატივ „მეურნეობის წიგნაკი ს. იაკ. ბურეიკოვსკის სახელოსნოზე, რაც უნდა ჩაუთვალოს გაუქმებულად.
4752

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები

— **მოზღერად -ქალ-ვაეთა მოწვევა.** ქართულ აკადემიურ გუნდში იწვევენ ქოზღერად ქალ-ვაეთ. მოზღერლებს მიეცემათ სრული სახელმწიფო ჯამაგირი და ყველგვარი ულტფა. ოცდაათი თავისუფალი ვაკანსიაა სოპრანოებისა, ზილებისა, კრინებსა და ბანისა. მსურველთა ჩაწერა სწარმოებს დილის ათი საათიდან სადამოს 8 საათამდე გუნდის კანცელარიაში, როზენის 1 კლასიკური ქუჩის კუთხე.

— **პური ხაქართველოსათვის.** საქართველოს სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. სტურუამ მოსკოვიდან პირდაპირი მავთულით შემდეგი გადმოსცა სასურსათო კომისარს ამხ. ერქომაიშვილს: „გადმოგცემთ ლენინის მიერ ხელმოწერილ დეპეშის ასლს, რომელიც გაუგზავნა მოსკოვის სასურსათო სახალხო კომისარმა თავის რწმუნებულს როსტოვში კოგანოვიჩს:

„ვითვალისწინებთ რა საქართველოს ძძიმე სასურსათო მდგომარეობას, თქვენ წინადადება გეძლევათ გაგზავნოთ ივლისის განმავლობაში ტფილისში საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით 100 ათასი ფუთი პური. მიღება და ასრულება დაადასტურეთ. № 80210 7 ივლისი.

სახალხო კომისარი საბჭოს თავმჯდომარე ლენინი. სასურსათო კომისათის მოადგილე ბრიუხანოვი“.

— **ბაკინელ-ბაქოელ ოფიცრებს** ამ დეპეშის ძალით ამხ. კოგანოვიჩმა უნდა შეასრულოს აღნიშნული მოთხოვნა. აუცილებელია დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნეს როსტოვში ერამოდენიძე ამხანაგი რწმუნებულის მეთაურობით და ეთხოვოს კოგანოვიჩს, რომ ძან უჩვენოს პუნქტები, თუ სადან უნდა იქნეს პური წამოღებული.

შემდეგ მე ვაწარმოებ სასურსათო კომისარიატთან ბოლოპარეკებას ფალთლეულობის, ფეხსაცმელის, შაქრის და საპონის მოცემის შესახებ. „კომ.“

ოქროს

ოქროს ახალი მადნები.

მოსკოვი. კრასნოიარის მუშებმა აღმოაჩინეს ოქროს მადნები. მუშაობა სწარმოებს გამოსარკვევად ყვითელ ოქროს გარდა არის თეთრი ოქრო, წინასწარ ანალიზი მდიდარ შესაძლებლობის სურათს გვიჩვენებს.

ვაჭრობა ამერიკასთან.

მოსკოვი. ამერიკის ეკსპროტიორებმა მთავრობას მოსთხოვეს რუსეთში 4000 მინისტრატიული თანამონაწილეობა უმაღლეს წერტილს აღწევ და მთელი ბედი მცხოვრებისა გენერალ-გუბერნატორის ნება-სურვილზე არის დამოკიდებული. ასეთივე ადმინისტრაციის ბატონობა და თვითნებობა არის გაბეფებული ინგლისის კოლონიებში. ინდოეთში აქამდის შერჩა თავის ძალაში კანონი, მიღებული 1818 წ., რომლის ძალითაც გენერალ გუბერნატორს ნება ეძლევა უსამართლოდ დაამწყვდიოს მცხოვრები და დასაჯოს შეჩვეული პოლიტიკურ აგიტაციაში. **)

ევროპის რასიულმა იდეოლოგიამ და იმ უფლებებმა, რომელიც აღიარეს კოლონიებში დამპყრობელმა სახელმწიფოებმა, შექმნა მათში დაპყრობილთადმი დამამცირებელი შეხედულებანი და ჩვეულებები. კოლონიის მცხოვრები ევროპიელის თვალში მდაბალი რასის ცხოველია, რომელსაც ყოველთვის ესაჭიროება როზგი და მაგარი მოპყრობა. ასეთი შეხედულება და ტალღებით გამოწვეული პრაქტიკა ქმნიდა „იმ „უფლებრივ კოდექსებს“, რომლის ძალითაც ევროპელს შეეძლო მოეკლა თანამოელი ადამიანი ამისათვის ის მხოლოდ შენიშვნასაც უმნიშვნელო სასჯელს მიიღებდა, შინ როდესაც ასეთივე ქმედებისათვის ადგილობელი სიკვდილით დაისჯებოდა ... ილებლად.

ოცვა და განადგურება კოლონიის ცხოვრებისა—ეს აუცილებელ პირობათ ... ქმნა თავიდანვე ევროპის იმპერიალისტურ პოლიტიკის.

„ევროპის იმპერიალიზმი, თავის განვარების „გმირულს“ პერიოდში მე-16 და მე-18-ე საუკ., საკ ... ლონიებნების მცხოვრებლები იწუხებდა თავს. ... ებითად, უკანასკნელთათვის არსებობდა ერთი ალტერნატივა: ის ნაწილი სახოგადოებისა, რომელიც უსარგებლო იყო ან საზარალო დამპყრობლებისათვის—უბრალოდ ისპობოდა; სასარგებლო ნაწილი კი შეიქმნებოდა მონელებათ და საკატორღო მუშაობისათვის პლანტაციებსა და მაღაროებში“-ო, ამბობს ვ. კრიაგონი.

მცხოვრებთა ხოცვა და თიბიქმის მთელი ტომების ამოყლეტა არ არის დამახასიათებელი თვისება, როგორც ქვევით დავინახავთ, იმპერიალიზმის პირველის პერიოდის; ეს მომენტი ახასიათებს იმპერიალიზმს ყოველთვის მომენტებში.

ამ ოდიკალურმა პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო. იმპერიალიზმის პოლიტიკისა, რომელიც შეუბრალებლად ტარდებოდა როგორც ამერიკაში, ისე აღმოსავლეთის ხალხთა შორის, მრავალი კოლონიელი მცხოვრებნი და ტომები შეიწირა მსხვერპლად. სან-დომინგოს მცხოვრებნი გადაშენდნენ რადაც 50 წლის განმავლობაში დაპყრობის შემდეგ. ასეთივე განადგურების ქვეშ მოექცნენ ჩრდილოეთ-ამერიკის ინდუსები. ბრაგისიფილისი, საკატორღო მუშაობა და, თოფის წამალი ყველგან თავის სასტიკ შედეგებს გვაძლევდა.

დრმა ანალიზით განხილული სურათები და ისტორიული მაგალითები მოკვეთ კარლოს მარქსმა იმ „სასტიკ და ბარბაროსულ ძალადატანებების შესახებ, რომლითაც შეიმოსა პირველი ეპოქა კოლონიალური პოლიტიკისა:

— „ისტორია ჰოლანდიის კოლონიალური ბატონობისა—ჰოლანდია სამაგალითო კაპიტალისტური ნაცია იყო მე-17-ე საუკ.—გვიშლის ღალატის, მოყიდვის, კუთხიდან ხოცვისა და სისაძაგლის შეუდარებელ სურათებს: რა იქნება დამახასიათებელი ჰოლანდიის ცალებისზე ხალხის მოპარვის სისტემას, რომ მონები „ეშოვათ თავისათვის. ამისათვის გაწვრთვნილი იყო ხალხის გასაკუთრებული მომტაცებლები...

მალაკის დაპატრონებისათვის, ჰოლანდიელებმა მოიყიდეს პორტუგალელი გუბერნატორი. შესვლის შემდეგ იმათ მოჰკლეს ის ჩგმად, რომ არ გადაეხადათ 21.875 გირ. სტერლინგი საჩუქარი ღალატისათვის... ყველგან, სადაც ისინი გამოჩნდებოდენ, თან მოყოლოდათ განადგურება და მცხოვრებთა შემცირება... ბანიუვანგიაში, იავის პროვინციაში, 1750 წ. ირიცხებოდა 80 ათასი მცხოვრები, 1811 წ. მხოლოდ 8 ათასი.

მოპყრობა მცხოვრებთადმი, რასაკვირველია, ყველაზე უფრო სამინელი იყო იმ კოლონიებში, რომელნიც საჭირო გამოტანისთვის იყვნენ განწესებულნი, მაგ. ვესტ-ინდიის პლანტაციებში, და მდიდარსა და მჭიდროთ დასახლებულ ქვეყნებში, რომლნიც ძარცვისა და ყაჩაღობისათვის იყვნენ დანიშნული, ასეთია მექსიკა და ოსტ-ინდია. და სხვა *)

კ. მარქსის ცნობები ეხება იმპერიალიზმის პირველ პერიოდს, სადაც მთელი თავისი ურცხვი სისასტიკითა და ვანდალიზმით მოევლინება ევროპის პოლიტიკა კოლონიებში.

ეს ცარცვა და ყაჩაღობა კოლონიის ხალხთა არ შეწყვეტილა არც დღეს. სულ უახლოესი ცნობები შემოგვეგზავნეს: 1904 გერმანიის სამხრეთ-დასავლეთის კოლონიებში მოხდა გერერების აჯანყება ამ ტომმა ვერ გაუძლო ახალგაზრდა იმპერიალიზმის სისასტიკეს და ამბოხების მახვილი აღმართა. გერმანიის იუნკრებმა სისხლითა და მახვილით ჩაქრეს. აჯანყება და შეუბრალებლათ ამოჟყლეტეს, უდანაშაულო ბავშვები და ქალები. შემდეგი: 1904 წ. ეს ტომი 100 ათასზე მეტს აღწევდა, 1913 წ.—21.699 დავიდა. გერმანიის კაპიტალის ინტერესებმა მსხვერპლად შეიწირა 80 ათასი მცხოვრები *) 1901 წელში მოხდა მეორე აჯანყება ფრიკაში მატუმების ტომს ხალხთა. აჯანყების დროს დაიღუპა არა ნაკლები 150 ათასი მცხოვრებთა. **)

ამერიკაში ასეთი შეუბრალებელი ხოცვა ელეტის პოლიტიკამ შემდეგნი საგონებელში ჩააგდო გერმანიის კაპიტალისტები. რადგან შემცირდა მუშა ხელი ამ კოლონიებში. ცნობილი იმპერიალისტი პ. სორბარი ამბობდა, რომ გერმანელებმა ამ ამოხოცვით დიდი შეცდომა ჩაიდინეს, რადგან „ადგილობრივი მცხოვრებლები წარმოადგენენ ყველაზე უფრო დირსეულ სამეურნეო ინვენტარს აფრიკის კოლონიებში“ (იხი. გვ 120)

ეს მოსაზრება დამახასიათებელია იმპერიალისტური პოლიტიკის ეგოიზმისა და მთელი მისი გაუმაძღრობის. იმპერიალიზმი ყოველივე თავისი სარგებლიანობის საზომით უყურებს და ეს საზომი ხან მსხვერპლად იწირავს რამოდენიმე ათასეულ ადამიანს, ხან კი სრულს თავის მონად და ყმად ხდის. იმპერიალიზმის ბუნებაში ამოშლილია მორალური და ეთიკური პრინციპები და მთელი მისი შენობა აგებულია ამორალიზმზე.

არ არის არც ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელსაც სახელი არ გაეთქვას თავის შეუბრალებელი, დაუნდობელი. და ვანდალური მოპყრობით კოლონიის ხალხისადმი ხოცვა, ყლეტა და სისხლის შმორებში გამოიხატება ევროპის „განმათავისუფლებელი“ როლი აღმოსავლეთში და ამ როლს ყოველი მათგანი ღირსეულად ასრულებდა, მათი ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით.

ბიმონ ხუნდაძე.

*) ციტატას ვიღებ ზინოვიევის წიგნიდან: „Война и Кризис с—ма“ გვ. 35—ნ.

*) იქვე ნაწილი პირველი გვ, 120.

**) იქვე გვ. 132.

... ბაკინელ-ბაქოელ ...

... ბაკინელ-ბაქოელ ... ბაკინელ-ბაქოელ ... ბაკინელ-ბაქოელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლებული—პარტიას ჰყავს საკანონმდებლო პალატა, ის ბრძოლის ხარჯების მეთვალყურე, სად რა და როგორ იხარჯება ეს მე არ მეხება და რომც მეხებოდეს—არც გეტყვით, ეს პარტიის საქმედ მიმაჩნია.

პ. ხაყვარელიძე—მე საჭიროდ მიმაჩნია ხარჯების შინაარსზე ცნობები.

თედო—ბ-ნო მოსამართლენო, მე პროტესტს ვაცხადებ საკითხის „ასე დაყენებისათვის. სასამართლო ეხება ჩემს პირად საქმეს და არა პარტიისას. პარტია თქვენთან არ მოვა სადაოდ. შეიძლება გზა და გზა შეხებულ იქმნეს პარტიის საქმეები, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ჩემი პიროვნება გამოაშკარავდება. რას ვეძებთ ჩვენ მოწმეების ჩვენებაში? ვეძებთ მხოლოდ იმას, რაც არის საყვარელიძის ფორმულის მე-3 მუხლში. აი რა სწერია ბრალდებაში: „[illegible] სიტყვით: „გარდა ამისა თ. ბელონტი სან. ხელისუფლებისაგან ღებულობს სხვა და სხვა საჭიროებისათვის განსაზღვრულ თანხებს მილიონობით“. აი, ეს გარდა ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ანგარიშებისა თურმე მე ვღებულობ ფულებს მილიონობით და ამის [illegible] უნდა ვნახოთ დავთრებში და [illegible].

საყვარელიძე—რა უნდა გამოარკვიოს სასამართლომ ეს თვითონ სასამართლ[illegible]. აუცილებლივ უნდა გამოირკვეს [illegible] მილიონი ფული, როგორ იხარ[illegible]?

[illegible]ამარე. გთხოვთ დამსწრე ვ. [illegible] მოგვაწოდოთ ცნობები [illegible] თანხის დახარჯვის შესახებ.

[illegible]ეშვილი. ჩემთვის ეს კითხვა [illegible] გაუგებარია, ამისათვის ჩვენ [illegible] ორგანო გვაქვს, სადაც ყოველ[illegible] დოკუმენტს წარუდგენთ ხელ[illegible].

[illegible]. მე პირდაპირ გაოცებულ[illegible] კითხვის ასე შებრუნებით. [illegible] თქვენ რა გაინტერესებთ [illegible] ვღებულობთ თუ სად [illegible] როგორ? სად არის სალმი[illegible], ამისათვის ჩვენ [illegible] ჰალატა გაგვაჩნია [illegible] სასამართლოთა კაბინეტ[illegible] რომ სთქვას [illegible] [illegible] მაინც [illegible] [illegible] ართლოს [illegible] [illegible] [illegible]